

მზღვევლების რაოდენობის დინამიკა 1990-2015 წლებში

თინათინ ენუქიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში ბიზნესის ადმინისტრირების (სადაზღვევო საქმე) მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა „სადაზღვევო საქმე“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,
სრული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თინათინ ენუქიძე

03.06.2015

მადლობა

„ მადლობა მინდა გადავუხადო გაწეული დახმარებისთვის შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილეს ბატონ ვახტანგ ლაშქარაძეს, რომელმაც მომაწოდა ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიების შესახებ 1990-2000 წლამდე, რომელი კომპანიები იხდიდნენ საშემოსავლო გადასახადს. მოწოდებული ინფორმაციის წყალობით შევძელი ამესახა 90-იან წლებში, რომელი კომპანიები მოქმედებდა სადაზღვევო ბაზარზე. აღნიშნული ინფორმაცია საკმაოდ მნიშვნელოვანია ჩემს მიერ ჩატარებული კვლევისთვის და ასევე სადაზღვევო სექტორისთვის. აგრეთვე მადლობა ბატონ თენგიზ ვერულავას, რომელმაც 2000 წლიდან მომაწოდა ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიების შესახებ.“

აბსტრაქტი

შესავალი: ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე სადაზღვევო ინდუსტრიამ საკმაოდ რთული და საინტერესო გზა განვლო. კვლევის მიზანია აღწეროს მზღვეველების განვითარების დინამიკა 1990 წლიდან დღემდე, რომელ წელს რომელი კომპანია დაარსდა და რამდენი ხანი იმოღვაწევა სადაზღვევო ბაზარზე.

კვლევის მეთოდოლოგია: სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია, ასევე პირველადი და მეორადი მონაცემები.

შედეგები: ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში სადაზღვევო ბაზარზე 200-ზე მეტი სადაზღვევო კომპანია მოღვაწეობდა. დღეისთვის საქართველოს ბაზარზე 16 სადაზღვევო კომპანია ახორციელებს დაზღვევას.

დასკვნა: ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ სადაზღვევო ბაზარზე გაცილებით მეტი რაოდენობის სადაზღვევო კომპანია მოღვაწეობდა, ვიდრე აქამდე ნავარაუდები იყო. მათ გაკოტრებაზე სხვადასხვა ფაქტორმა მოახდინა ზეგავლენა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა სადაზღვევო კანონმდებლობის შემოღება 1997 წელს, რამაც გამოიწვია 180 კომპანიის გაუქმება, რადგან მათ ვერ შეძლეს აკრედიტაციის გავლა. აღნიშნული ინფორმაცია დღემდე არ იყო ხელმისაწვდომი. მოცემული კვლევა ადასტურებს იმ ვარაუდს, რომ დაზღვევის შესახებ კანონის შემოღების შედეგად მრავალი კომპანია გაუქმდა გასული საუკუნის ბოლოს. 2000 წელის დასაწყისში უკვე 65 კომპანიის დათვლა მოხერხდა.

რეკომენდაციები: სასურველია მომავალში ამ კუთხით უფრო ვრცელი და ღრმა კვლევის ჩატარება, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია სადაზღვევო ბაზრის განვითარების დინამიკის შესწავლა სადაზღვევო სექტორისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დაზღვევის განვითარება, სადაზღვევო კომპანიები წლების მიხედვით, დაზღვევა 90-იან წლებში.